საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ეხმიანება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ მაღალი თანამდებობის პირების და ზოგიერთი მედიასაშულების მიერ დაწყებულ ნეგატიურ საინფორმაციო კამპანიას, რომელიც ერთ კვირაზე მეტია არ წყდება.

22 თებერვალს, პარლამენტის სამუშაო ჯგუფში, "ეროვნული პლატფორმის" წევრი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის თაობაზე საკანონმდებლო პაკეტის განხილვა გაიმართა. საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი პასუხობს ვენეციის კომისიისა და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების მიზანს.

საკანონმდებლო წინადადების განხილვას მრავალდღიანი ნეგატიური ხასიათის საიმფორმაციო კამპანია მოჰყვა, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების ჩართულობით, რაც ხშირ შემთხვევაში ამახინჯებს ინიცირებული კანონპროექტების არსს, ასევე, მიმართულია ანტიდასავლური განწყობების გაძლიერებასა და საზოგადაოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციისაკენ.

მივესალმებით რეფორმების შესახებ პარლამენტში გამართულ შინაარსობრივ განხილვებს, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც უმრავლესობის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. თუმცა, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი 9 დათქმა საჭიროებს უფრო ფართო და სიღრმისეულ მსჯელობას, არა მხოლოდ ეროვნული პლატფორმის წევრი, ასევე, სხვა დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით. ამავდროულად, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რეფორმებზე მსჯელობის პროცესი უნდა წარიმართოს დეზინფორმაციის გავრცელების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის გარეშე.

მოვუწოდებთ პარლამენტს, უზრუნველყოს ვენეციის კომისიის, ეუთო/ოდირის და ევროკომისიის რეკომენდაციების განხილვა, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით.